ხუთშაბათი,
17 ოქტომბერი,
1957 წელი
№ 125 (1139).
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიალებს სპარტაკიადის ალამი

მახარობლები და დამარცხების მაუწყებელნი

სპარტაკიადის მეორე დღეს შეჯიბრებები ერთდროულად 11 სახეობაში დაიწყო. ჩვენ ორნი ვართ. რომელ ერთგან უნდა წახვიდე: სიმძიმეთა აწევა შავ ქალაქშია, ტანვარჯიში — ცენტრში, ნიჩბოსნობა — ქალაქიდან 12 კილომეტრის დაშორებით. გადავწყვიტეთ დავსწრებოდით რომელიმე სახეობას, ხოლო საღამოს „ჩავსაფრებულიყავით“ მახარობელთა მოლოდინში.

აი ჭრიალით იღება კარი და გაისმის რიხიანი ხმა:

— გამარჯვება! მოცურავეებმა ესტაფეტაში 4×100 პირველი ადგილი დაიკავეს. აი სიგელებიც. წარმატებით დაამთავრეს მესტენდურებმა პირველი დღე. შესანიშნავად ისროდნენ ზურაბ მაჩხანელი და ბორის ანტონოვი.

— გამარჯვება!—ოთახში შემოვარდა ველოსიპედისტთა მწვრთნელი ა. გუნია. ვაჟებმა 100 კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავეს, ქალებმა — მეორე.

— პირველი ადგილი! — გვახარა ნიჩბოსნობის მწვრთნელმა ვ. რაზმაძემ. 14 სახეობიდან 8 პირველი ადგილი დავიკავეთ, 5 მეორე და 1 მესამე. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ლ. ნასყიდაშვილი, გ. და ვ. ბაიდანოვები, ე. მეგედი, გ. ვაშჩუკი, პ. მარეხაშვილი, ვ. გიდრა, ვ. საზონოვი, ნ. რაზმაძე, ე. ბერიძე, ს. ხამხაძე, და ა. შალიაპინი.

შემოვიდა ხუთჭიდელთა გუნდის უფროსი ა. ზამბახიძე და განაცხადა, რომ მალხაზ ერისთავმა მოიგო ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა, ხოლო ჩვენი ხუთჭიდელები დღეისათვის მეორე ადგილზე იმყოფებიან.

მაგრამ ყველას როდი მოაქვს სასიხარულო ამბები. დარცხვენილები შემოვიდნენ ფრენბურთელები. მათი პირველი სიტყვა იყო — წავაგეთ! მართლაც, აზერბაიჯანელებთან წააგეს ვაჟებმაც და ქალებმაც. ზოგი მსაჯს აბრალებს, ზოგი მოედანს, მაგრამ წაგება წაგებად რჩება. ვერც წყალში მხტომელები დაბრუნდნენ სახლში გახარებულნი, ტყვიით სროლაშიც არ იყო კარგად საქმე...

მძლეოსნებმა გამოასწორეს პირველი დღის მარცხი: სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის პირველი სამი ადგილი ჩვენმა სპორტსმენებმა დაიკავეს — რ. ქვაჩახიძე — 6 მ 98 სმ. ლ. გურგენიძე — 6 მ 94 სმ. და გ. გვინჩიძე — 6 მ 75 სმ. გ. ბრიტვინამ გაიმარჯვა შუბის ტყორცნაში — 44 მ 36 სმ, სიმაღლეზე ხტომაში პირველი იყო ს. როზანოვა — 155 მ, თარჯრბენში 110 მეტრზე — მ. ტუღუში — 14,8, 800 მეტრზე რბენაში — პ. კუდრიავცევი — 1.55,1. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — შჩერბინა.

ბრძოლები ფიცარნაგზე

შაუმიანის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე დადგმულ ფიცარნაგზე გამოვიდნენ ძალოსნები.

სააკიანი (სომხეთი), დათიკაშვილი (საქართველო), არზანგულოვი (აზერბაიჯანი) და ბეზიუმინი (მოლდავეთი) იბრძოდნენ მჩატე წონაში. როცა ატაცში შტანგაზე 95,5 კილოგრამი იყო, მხოლოდ დათიკაშვილი გამოვიდა ფიცარნაგზე. მან ეს წონა იოლად დაძლია და საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა. სამჭიდის ჯამში 350 კილოგრამით შეჯიბრება დაამთავრეს სააკიანმა და დათიკაშვილმა, მაგრამ ვინაიდან ჩვენი გუნდის წევრს ნაკლები საკუთარი წონა ჰქონდა, პირველი ადგილი მას მიეკუთვნა.

ქვემსუბუქ წონაში ხ. ხანუკაშვილმა ადვილად დაამარცხა მოწინააღმდეგეები. მან 10,5 კილოგრამით ჩამოიტოვა თავისა უახლოესი მეტოქე აზერბაიჯანელი ეიუბოვი და მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი.

ყველაზე საინტერესო იყო რაფაელ ჩიმიშკიანის გამოსვლა მსუბუქ წონაში. ჩიმიშკიანი საერთოდ ქვემსუბუქი წონის ძალოსანია, სადაც მას მრავალჯერ დაუმყარებია მსოფლიო რეკორდები და მოუპოვებია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა. მაგრამ გუნდის ინტერესებისათვის იგი ამჯერად მსუბუქ წონაში გამოვიდა.

— ჩვენთვის მთავარია ამ წონაში მეორე ადგილი, — უთხრა მას მწვრთნელმა მ. ელენტმა. ჩიმიშკიანმა დარიგება ყურადღებით მოსმინა და შეუდგა ბრძოლას. მისი ძირითადი მოწინააღმდეგე ჰუსეინოვი იყო, რომელმაც აჭიმა 100 კილოგრამი, აიტაცა 117,5 კილოგრამი და 5 კილოგრამით გაუსწრო ჩიმიშკიანს. დარჩა უკანასკნელი მოძრაობა — აკვრა. წონამ 145 კილოგრამს მიაღწია. თუ მას ჩიმიშკიანი დაძლევდა, უთანასწორდებოდა ჰუსეინოვს. ატლეტი გამოვიდა ფიცარნაგზე, ჩაეჭიდა შტანგას და 62 კილოგრამი წონის კაცმა 145 კილოგრამი აიტანა ჯერ მკერდზე, შემდეგ კი გამართულ ხელებზე. გამარჯვება მას მიეკუთვნა, ვინაიდან ჰუსეინოვის ბოლო ცდა ფუჭი გამოდგა.

აზერბაიჯანელ და ქართველ მოკრივეთა გამარჯვება

კრივი ბაქოში ისეთივე პოპულარული ყოფილა, როგორც თბილისში. ხალხით გაჭედილი იყო ჰაჯიბეკოვის ქუჩა 14 ოქტომბერს, იქ, სადაც ცირკია გაშენებული. კრივის მოყვარულებს ბევრი რამ ჰქონდათ ამ დღეს სალაპარაკო — მათი გუნდი ხვდებოდა ძველ სპორტულ მეტოქეს — სომხეთის მოკრივეთა კოლექტივს, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე საკმაოდ დაოსტატდა და გაძლიერდა. სომხეთის გუნდს რამდენიმეჯერ ჰქონდა მატჩი მოგებული აზერბაიჯანთან და ახლა ბაქოელებს თავის ქალაქში რევანშის აღება სურდათ.

... ხმაურობს ცირკის ამფითეატრი, ერთიმეორეზე იგებენ ბრძოლებს მუსაელიანი, აბიევი, გრიგორიანი და მელჩინი. ეს უკვე დიდი უპირატესობაა აზერბაიჯანის გუნდისათვის. დამარცხდნენ ტყავის ხელთათმანს ცნობილი წარმომადგენლები — სპორტის ოსტატები გასპარიანი, სარქისიანი, კარაპეტიანი და გევორქიანი.

პირველ ქულას სომხეთის გუნდს აძლევს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ენგიბარიანი (პირველი ქვესაშუალო წონა). იგი ლამაზ სტილში ამარცხებს ბაქოელ მეხტიევს. აზერბაიჯანელებს თითქოს მოგება განაღდებული აქვთ, რადგან განსხვავება საკმაოდ საგრძნობია, მაგრამ ჯერ არ გამოსულა სომხეთის გუნდის კიდევ სამი ფავორიტი—ტოვმასიანი, ხაჩატურიანი, ოგანესიანი. პირველი ორი მეტად ძნელ გამარჯვებას აღწევს. მსაჯი არასწორი ბრძოლისათვის შეჯიბრებიდან ხსნის ოგანესიანის მეტოქეს სულეიმანოვს, ხოლო მეორე ქვესაშუალო წონაში იმარჯვებს აზერბაიჯანელი გასო.

მასპინძლები ახლოს არიან გამარჯვებასთან. ახლა ყველაფერს წყვეტს მძიმე წონის მოკრივეთა — გაიფაჯიანისა (სომხეთი) და აბასოვის (აზერბაიჯანი) შეხვედრა. მოწინააღმდეგეები ბრძოლას ფრთხილად იწყებენ, მაგრამ აბასოვი მალე ნოკდაუნშია. ძნელია ასეთ დროს შეხვედრის ბედის შემობრუნება, მაგრამ აბასოვმა მოძებნა გამარჯვებისათვის საჭირო ძალები და თავის გუნდს მოუტანა საჭირო ქულა. აზერბაიჯანის გუნდმა მოიპოვა მეტად საპატიო გამარჯვება — 6:4.

საქართველოს გუნდი პირველ დღეს მოლდაველთს შეხვდა. ორ წონაში ჩვენს მოკრივეებს ასატუროვსა და მელაძეს მოგება წინასწარ ჩაეთვალათ, რადგან მათი მოწინააღმდეგეები არ გამოცხადნენ რინგზე. დანარჩენებმა მოიგეს დარწმუნებით. დამარცხდა მხოლოდ კოზაევი ძლიერ სპორტის ოსტატთან ი. მუზლაევთან. საერთო ჯამში გავიმარჯვეთ ანგარიშით 9:1. თავიანთ წონითს კატეგორიებში ქულებით გაიმარჯვეს შეპეტკოვმა, ხუდოიანმა, სილაგაძემ, მუხაძემ, დარბაისელმა. აშკარა უპირატესობით მოიგეს მიქაელიანმა და კ. ბაბახანიდმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოსა და სომხეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრამ. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინა სპარტაკიადაზე ამ კოლექტივებს მატჩი მოიგეს სომეხმა სპორტსმენებმა.

პირველი შეხვედრა დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის დამარცხებით — შეპეტკოვმა ვერ მოიგერია მოწინააღმდეგის იერიშები და წააგო ბრძოლა. მაგრამ შეპეტკოვის დამარცხებისათვის რევანში აიღო ხუდოიანმა. მორიგი გამარჯვებანი მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა: ასატუროვმა (ქვემსუბუქი წონა), მელაძემ (მსუბუქი წონა), დარბაისელმა (მეორე საშუალო წონა), მიქაელიანმა (ქვემძიმე წონა), ბაბახანიდმა. დამარცხება განიცადეს კოზაევმა, რომელმაც წააგო ვ. ენგიბარიანთან, სილაგაძემ და მუხაძემ. გაიმარჯვეს საქართველოს მოკრივეებმა ანგარიშით 6:4.

ბაქოს გარეუბნის გზატკეცილზე

15 ოქტომბერს ჩატარდა მოტოკროსი ბაქოს გარეუბანში. დისტანცია: ვაჟები—60 კმ ქალები—30 კმ.

ვაჟთა კროსში თავიდან დაწინაურდა აზერბაიჯანელი მატკოვსკი, რომელსაც მიყვნენ შალიბაშვილი და ჩხაიძე. მეორე წრეზე წინ გავიდა შალიბაშვილი და ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. ჩხაიძე მას სულ 100 მეტრით მიყვებოდა და ფინიშთან ასევე მივიდა მეორე. მესამე ადგილი დარჩა ს. რუხაძეს.

ქალთა შორის დიდხანს წინ იყო თბილისელი ბარასევა, მაგრამ მას ჭაობში მანქანა გაუფუჭდა და გაუსწრო სომხეთის წარმომადგენელმა ივანოვამ.

ვაჟთა რბოლაში 125 კბ. სმ. მოტოციკლებით გაიმარჯვა საქართველოს გუნდის წევრმა კ. ცალქალამანიძემ. მეორე ადგილზეა ნესტეროვი (სომხეთი), მესამეზე — ალექსანიანი (აზერბაიჯანი).

პირველი ადგილი

საჭიდაო ასპარეზას ირგვლივ მსხდარი მაყურებლები გატაცებით ადევნებდნენ თვალს კლასიკურ ჭიდაობაში ოთხი რესპუბლიკის ფალავანთა დაძაბულ ბრძოლებს. განსაკუთრებით დიდი იყო მასპინძელთა ინტერესი შეჯიბრების მესამე დღისადმი, როდესაც ჩემპიონობის ბედი წყდებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანელ მოჭიდავეთა შეხვედრაში. ამ ინტერესს ერთგვარად ისიც აძლიერებდა, რომ აქ, მაყურებელთა შორის იყვნენ ირანიდან დაბრუნებული ქართველი მოჭიდავეები: მ. ცალქალამანიძე, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე და ო. კახდელაკი, რომლებსაც მასპინძლები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ.

პირველი შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის უიღბლო გამოდგა. უმჩატესი წონის ქართველი მოჭიდავე ეგაძე სიცხიანი გამოვიდა ასპარეზზე და დიდი მოხდომებისა და შეუპოვარი ბრძოლის მიუხედავად ქულებით წააგო საიადოვთან.

მჩატე წონის მოჭიდავეთა — ჩიტიაშვილისა და არუთინიანის შეხვედრის შემდეგ ანგარიში 1 : 1 გახდა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ქულებითვე აიღო რევანში თანაგუნდელის დამარცხებისათვის.

შემდგომი შეხვედრები ქართველ მოჭიდავეთა ტრიუმფით წარიმართა: ძნელაძისა და ქორიძის მიერ ჰუსეინოვზე და ალიევზე ქულებით გამარჯვების შემდეგ ჭითავამ სამ წუთში ბეჭზე დასდო ორუჯევი, ხოლო სინაურიძემ — 12 წუთში სალი-სულეიმანოვი. კარტოზია-ვართანოვის შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონის დიდი უპირატესობის მიუხედავად, ვართანოვმა შეძლო ბოლომდე ეწარმოებინა ბრძოლა და მხოლოდ ქულებით წააგო, რითაც მან თავის წონაში მეორე ადგილი გაინაღდა.



მძიმე წონაში აბაშიძესთან შეხვედრაში მოწინააღმდეგე არ გამოცხადდა, რისთვისაც ქართველ სპორტსმენს გამარჯვება მიეკუთვნა.

საერთო ანგარიშია 7:1 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებამ უზრუნველყო ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა გუნდის მიერ სპარტაკიადის ჩემპიონობის მოპოვება 11 საჯარიმო ქულით. ქულათა თანაბარი რაოდენობა — 19-19 — დააგროვეს აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებმა, რომელთაც გარდა ამისა პირველ ადგილზე გამოსული მოჭიდავეების რიცხვიც ერთნაირი ჰქონდათ. მეორე ადგილის ბედი გადაწყვიტა პირად ჩათვლაში მეორე ადგილების რაოდენობამ, რომლითაც აზერბაიჯანის გუნდს მეტი აღმოაჩნდა.

პირად ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: საიადოვი (აზერბაიჯანი), ჩიტიაშვილი, ძნელაძე, ქორიძე, ჭითავა (ყველა საქართველო), ხაჩატურიანი (სომხეთი), კარტოზია და აბაშიძე (ორივე — საქართველო).

(დასასრული მე-3 გვერდზე).

• • •

სურათზე: ზემოთ — ჭითავას და მოლდაველ დობროვოლსკის ორთაბრძოლა. ქორიძემ მოხერხებული ილეთით ხიდურზე გადაიყვანა ვარდანიანი (სომხეთი).



ფოტოგრალდეგა

ეს ორი სურათი გადაღებულია ჩვენი ფოტოკორესპონდენტის გ. ქიმერიძის მიერ. მოქმედების ადგილი — საგარეჯოს რაიონი, უფრო კონკრეტულად — სოფელ გომბორის საშუალო სკოლა. შეგვიძლია კიდევ უფრო დაწვრილებითი ცნობების მიცემაც: სკოლის დირექტორია ამხ. ხ. ციციშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი — ვ. ტატელოშვილი.



დანარჩენი ამბები ჩვენი მკითხველის ფანტაზიისათვის მიგვინდვია სრულად — როგორც გსურთ, ისე წარმოიდგინეთ აქ ჩატარებული მეცადინეობანი ფიზიკურ აღზრდაში. ეს ტაიჭი და ხარიხა ხელჩართულ ომში განგმირულ ცხენებსა ჰგვანან, ხოლო ერთს ოდნავ ეტყობა „სიცოცხლის" ნიშანწყალი, მაგრამ მალე, ალბათ, ისიც გვერდით წამოუწვება წაქცეულებს.

ერთი მოკრძალებული შეკითხვა სკოლის დირექტორს: ასე მიყრილი რომ ნახოს, მაგალითად, ხელსაწყოები ფიზიკის ან ქიმიის კაბინეტში, დატოვებს მათ ამგვარ მდგომარეობაში?

ფიზიკური აღზრდაც ხომ საგანია, ესეც ხომ ხელსაწყოებია, ფული ხომაა მათში დახარჯული?

ამ ღერძს კიდევ არა უშავდა რა, ივარჯიშებდა კაცი ზედ, მაგრამ ჩამოხტომა არ გინდათ? ქვეშ მყოფი დიდი ტალახიანი გუბე საკმაოდ რბილია, შიგ რომ აგურის ნატეხები არ ეყაროს. ესეც დიდი საქმეა — გაწმინდო გუბე აგურებისაგან და ამოავსო ორმო მიწით.

ძნელი არაა, მაგრამ მონდომება და გულისყურია საჭირო!

დიდი ოქტომბრის
სოციალისტური
რევოლუციის მე-40
წლისთავის შესახვედრად

სპორტი ამრავლებს შრომით წარმატებებს

დიდი დღესასწაულის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას თვალსაჩინო შრომითი წარმატებები აქვს მოპოვებული. საწარმოო კოლექტივის ამ მიღწევებს დიდად უწყობს ხელს ქარხანაში ფართოდ და ნაყოფიერად გაშლილი ფიზკულტურული მუშაობა, რომელშიც ქარხნის ახალგაზრდობის დიდი ნაწილია ჩაბმული.

ფიზიკური კულტურა საწარმოში დიდი პატივით სარგებლობს. 1957 წელს მარტო ქარხნის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ (კომიტეტის თავმჯდომარე გ. დაშნელი) ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებებისათვის 53 ათასზე მეტი მანეთი გამოყო.

მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას აქ ხელმძღვანელობს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" საქარხნო საბჭო (თავმჯდომარე — სამშენებლო საამქროს უფროსი ი. რამიშვილი). ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 800-ზე მეტი კაცი. სისტემატურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ათი სექცია, რომლებშიც 483 კაცი ეუფლება სპორტის სხვადასხვა სახეობას.

ფართო მუშაობაა გაშლილი სპორტსმენ-თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების საქმეში. მშთ I და II საფეხურის 316 ნიშნოსნიდან მარტო 1957 წელს 121-მა სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმები; მიმდინარე წელს 95 თანრიგოსნით შეივსო აგრეთვე ქარხნის მოწინავე სპორტსმენთა რიგები და თანრიგოსანთა საერთო რიცხვმაც 250-ს გადააჭარბა.

ქარხნის სპორტსმენები აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც შიდასაკოლექტივო, აგრეთვე სარაიონო და საქალაქო მასშტაბის მასობრივ-ფიზკულტურულ ღონისძიებებში. ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაციის განკარგულებაშია ფრენბურთისა და კალათბურთის ორ-ორი მოედანი, ფეხბურთის მოედანი, სასროლო ტირი და საწყლოსნო სადგური თბილისის ზღვაზე.

ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ქარხნის ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი მოწინავეა არა მხოლოდ ფიზკულტურასა და სპორტში, არამედ მთელს საწარმოშიც და ღირსეულად დგას შრომით ვახტზე. გადაჭარბებით — 200-250 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

ს. რასტი

ქართული ჭიდაობის სვანური ვარიანტის შესახებ

გაზეთ „ლელოს" ამა წლის 3 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ვ. ელაშვილის სტატია — „ლიბურგიელ" — ხვანური ჭიდაობა", რომელიც ყურადღებას იპყრობს როგორც ქართული ჭიდაობის სვანური სახესხვაობის აღწერის მხრივ, ისე სტატიაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრებითაც. უთუოდ სწორია ავტორის აზრი, რომ „ქართულ ჭიდაობაზე რაკი ვლაპარაკობთ, იგი უნდა მოიცავდეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ ჭიდაობებში არსებულ რაციონალურ ელემენტებს". მართლაც და, თუ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში გავრცელებული ქართული ჭიდაობის ვარიანტს გააჩნია რაიმე ისეთი ელემენტი, რომელიც გაამდიდრებდა და განავითარებდა ქართულ ჭიდაობას, ის თამამად შეიძლება იქნას შემოტანილი სპორტულ ცხოვრებაში. რა შეუძლია მოგვცეს ამ მხრივ სვანურმა ვარიანტმა?

ვ. ელაშვილი აღწერს ზოგიერთ არსებით ნიშანს, რომლებიც სპეციფიკურია სვანური „ლიბურგიელისათვის". მის „...თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჭიდაობის მომენტში სისწრაფეს არ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მოჭიდავეები მხოლოდ იმის შემდეგ იწყებენ ჭიდილს, როდესაც მოწინააღმდეგენი მარჯვენა მხრებით მიეყრდნობიან ერთმანეთს და წელზე შემორტყმულ ქამარში ჩასჭიდებენ ხელებს". ავტორის აზრით, „ამით გამორიცხულია სწრაფი მოჭიდავის საგრძნობი უპირატესობა ჭიდაობის დასაწყისში, რასაც შეიძლება შედარებით ძლიერი მოჭიდავის შემთხვევითი წაქცევა მოჰყვეს".

როგორც მოტანილი ციტატის მეორე ნაწილიდან ჩანს, ვ. ელაშვილი ამ თავისებურებას დადებით მოვლენად თვლის. კიდევ მეტი, ის ამ ფაქტს ერთგვარად იშველიებს იმათ წინააღმდეგ, ვინც მოჭიდავის სისწრაფესა და ჭიდაობის ტემპს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენი აზრით, ამ საკითხში ავტორი სწორი არ უნდა იყოს. ქართული ჭიდაობის დღევანდელი ფორმის ერთ-ერთი ნამდვილი ღირსება სწორედ ის არის, რომ ის იწყება მოწინააღმდეგეთა სწრაფი შეტევებით, სადაც საუკეთესოდ ვლინდება სპორტსმენის თვალისა და ხელის სისწრაფე, მთელი სხეულის მოქნილობა და ძალა. სვანური ვარიანტის დასაწყისში კი ეს მომენტი უგულებელყოფილია.

საერთოდ, ბუნდოვანია რას გულისხმობს ვ. ელაშვილი „ძლიერ მოჭიდავეში"? ჩვენი აზრით, ძლიერი მოჭიდავე სწორედ ის არის, ვინც სწრაფად მოქმედებს, თავბრუს ახვევს მოწინააღმდეგეს, თვალის დახამხამებაში უკეთებს მას ფანდს და ჭიდაობის ბედს თავის სასარგებლოდ წყვეტს. სისწრაფე ძლიერი მოჭიდავის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამას ამტკიცებს პრაქტიკაც.

სულ სხვაა ღონისა და სისწრაფის ურთიერთობის საკითხი. მოჭიდავე შეიძლება ღონიერი იყოს, მაგრამ სისწრაფე აკლდეს (იქნებ მხოლოდ ღონეს გულისხმობს ავტორი „სიძლიერეში", მაგრამ ეს ხომ არასწორი იქნება). რა გინდ ღონიერიც არ უნდა იყოს მოჭიდავე, თუ მას სისწრაფე და მოქნილობა აკლია, მაშინ ის არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ მოჭიდავედ, სრულყოფილ სპორტსმენად.

ასე რომ, ქართული ჭიდაობის დასაწყისს, რომელიც სპორტსმენს მოთხოვნილებასაც უყენებს და შესაძლებლობასაც აძლევს სწრაფად იმოქმედოს, დასაწყისშივე თავბრუდამხვევი თავდასხმა განავითაროს მოწინააღმდეგეზე, საყვედურს ვერ ვკადრებთ. სვანური „ლიბურგიელის" დასაწყისი მას ამ მხრივ საგრძნობლად უთმობს. სისწრაფისა და მოქნილობის განვითარება საერთოდ სპორტის მიზანია და ქართული ჭიდაობა ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე დგას.

სვანური ვარიანტის მეორე თავისებურება გამარჯვების გადაწყვეტის საკითხს ეხება. ჭიდაობაში ერთხელ მოგება არ არის საკმარისი გამარჯვებისათვის. საჭიროა მოწინააღმდეგენი რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება იმას მიეკუთვნება, ვინც მეტჯერ მოიგებს. ამ თავისებურებამ შეიძლება მართლაც მიიქციოს ყურადღება. ის შეიძლება განსაკუთრებით გამოდგეს ჩემპიონის ან ფალავნის საბოლოო გამოვლინებისათვის.

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ სისწრაფე არც სვანურ „ლიბურგიელშია" პატივს მოკლებული, თუ დასაწყისს არ მივიღებთ მხედველობაში. შემდეგ აქაც საჭიროა სწრაფი მოქმედება, ფანდების სწრაფი გამოყენება. უკანასკნელ ხანებში ჭიდაობის დასაწყისი სვანურ ვარიანტშიც იცვლება ისე, როგორც ეს ქართულ ჭიდაობაშია. უკვე დიდი ხანია, რაც ახალგაზრდობა სვანეთში სუფთა ქართულ ჭიდაობას მისდევს. ესეც ქართული ჭიდაობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ეჭვს იწვევს სტატიის ის ადგილიც, სადაც ავტორი ქართული ჭიდაობის გავრცელების საკითხს ეხება. მისი აზრით ქართულმა ჭიდაობამ დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნიდან მოიკიდა ფეხი. ჭიდაობა, რომელსაც ვ. ელაშვილი აღწერს, წარმართობის დროიდან მომდინარე სვანური დღესასწაულის „მურყვამობის" აუცილებელი კომპონენტთაგანი იყო. ეს საკითხი, სხვათა შორის, საუკეთესოდ აქვს დამუშავებული აკად. ი. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში (1928 წ. გვ. 69), სადაც ის პარალელს ავლებს ქართლ-კახურ ყეენობასა და სვანურ მურყვამობას შორის. ყეენობაც შეიცავდა ამგვარ ჭიდაობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სვანეთში ჭიდაობის სხვადასხვაობის სახით შემონახულია ძველი საერთო ქართული ჭიდაობა. ცხადია, ამის გამო ის ძველი, პრიმიტიული ნიშნების მატარებელიც არის. თანამედროვე ქართული ჭიდაობა კი უსათუოდ მისი განვითარებისა და სრულყოფის შედეგია. ყოველივე ამის გამო დაუჯერებლად მიგვაჩნია ის აზრი, თითქოს ქართული ჭიდაობა პირველად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, ხოლო გვიან (მე-19 ს-ში) ის დასავლეთშიც გავრცელდა.

თ. ონიანი

საიდუმლოებას ფარდა აეხადოს

ამ სათაურით გაზეთ „ლელოში" მოთავსებული იყო ვ. სიდამონიძის „წერილი საქართველოს ალპინისტებს", რომელმაც ყველა მთამსვლელის ყურადღება მიიპყრო და უდიდესი კმაყოფილებაც გამოიწვია. ამჟამად თავს ნებას ვაძლევ მათი სახელით უღრმესი მადლობა გადავუხადო იმ მაღალი შეფასებისათვის, რასაც ავტორი აკუთვნებს მწვერვალების დაპყრობისა და ძნელადმისადგომი გამოქვაბულების შესწავლის საქმეს.

მგონი არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ, ქართველი მთამსვლელები, ყოველთვის მზად ვართ მთამსვლელობა და მთამსვლელური გამოცდილება ხალხისა და მეცნიერების სამსახურში ჩავაყენოთ. მე ვფიქრობ, ნათლად ადასტურებს ჩვენი მთამსვლელობის ისტორიაც.

მთამსვლელობაში ზემოაღნიშნული წერილის ავტორის მოწონებას იმსახურებს ძნელად მისადგომი გამოქვაბულების შესწავლისათვის ჩვენგან არჩეული გზა და მოგვიწოდებს ვიაროთ „ვახუშტის კვალდაკვალ".

ეს გზა ქართველ მთამსვლელებს დიდი ხანია არჩეული გვაქვს. ჩვენს ინიციატივას ეკუთვნის ხვამლის ისტორიული გამოქვაბულის, კაცხის სვეტის, ბეთლემის, ჭიათურისა და შიო მღვიმის მიუდგომელი გამოქვაბულების, თრეხვის აქამდე უცნობი გამოქვაბულისა და სხვა მრავალი ძნელად მისადგომი გამოქვაბულის საიდუმლოების გახსნა. ამ გამოქვაბულებში ლეონტი მროველის ძეგლის დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოვლინებულ იქნა მატერიალური კულტურის დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის ძეგლები და დადასტურებულ იქნა საქართველოს ისტორიოგრაფიისათვის საჭირო ფაქტები.

ისტორიული წყაროებითაც ხომ დადასტურებულია, რომ ჩვენი წინაპრები, ისტორიული ავბედობის ხანაში, მტერთა ურდოების შემოსევის დროს, მიუდგომელი ქარაფოვანი კლდეების კედლებში უსაზღვრო თავგანწირვით ჰკვეთდნენ გამოქვაბულებს, იხიზნებოდნენ და იქ მალავდნენ თავიანთ კულტურულ მონაპოვარს.

თვით გამოქვაბულებიც ხომ ცოცხალი სურათებია ჩვენი წინაპართა ყოფა-ცხოვრებისა და თავდადებული შრომისა. ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიისა და ჩვენი წარსული კულტურის ამსახველი დიდმნიშვნელოვანი ძეგლები და პირველხარისხოვანი წყაროები დაკარგულია და დღემდე არ არის ნაპოვნი. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მიუდგომელ გამოქვაბულში იქნება გადამალული? მით უმეტეს, ცნობილია, რომ 1955 წელს პალესტინის ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოჩნდა სამასამდე ქართული ხელნაწერი და ხელნაწერთა შორის სიაც კი ყოფილა იმისა, თუ რომელ გამოქვაბულში რა ინახება. რა ვიცით, რომ იმ სიაში აღნიშნული გამოქვაბულები ჩვენშიც არ იმყოფებიან?

განა ამ წყაროებისა და ძეგლების ძებნა ყველა ჩვენგანის პატრიოტული საქმე არაა?

სწორედ ამიტომ არის, რომ დღემდე შეუსვლელი და შეუსწავლელი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების შესახებ უამრავ ცნობებსა და წერილებს ვიღებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მიღებული ცნობები და მიწვევანი ჩვენ, მთამსვლელებს ერთგვარ უხერხულობაშიც გვაყენებს.

რა შეგვიძლია ჩვენ მათ ვუპასუხოთ? რა იციან მათ, რომ ამ საქმეს ჩვენ კერძო ინიციატივით და საკუთარი საშუალებებით ვაკეთებთ?

საინტერესოა, როგორ უყურებენ ამ საკითხს ის ორგანიზაცია-დაწესებულებები — მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, კულტურის სამინისტრო და ამ საკითხზე მომუშავე სპეციალისტები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ორგანიზაციული და სისტემატური ხასიათი მისცენ საქართველოში მრავლად არსებული ძნელად მისადგომი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების შესწავლას, ამ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო საქმეს.

ამასთან დაკავშირებით, იქნებ ვ. სიდამონიძის აღნიშნულმა წერილმა მაინც მოაგონოს ამ საქმესთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, რომ უკვე დროა ხელოვნური და ბუნებრივი ძნელად მისადგომი გამოქვაბულების შესწავლას მიეცეს ორგანიზაციული და სისტემატური ხასიათი, კერძო ინიციატივაზე დამოკიდებული საქმე იქცეს სახელმწიფოებრივ საქმედ.

ცხადია, რომ ამ საკითხის მოგვარება ჩვენ, მთამსვლელებს, ახალ სტიმულსა და საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი თავდადებით და ნაყოფიერებით ვემსახუროთ მეცნიერების საქმეს.

რაც შეეხება ჩვენს უახლოეს მიზნებს — ამხანაგების ერთ ჯგუფს კარგა ხანია გადაწყვეტილი გვაქვს ვესტუმროთ ბერდუჯის გამოქვაბულებს და ამ გამოქვაბულების პოვნით, სხვა თუ არაფერი, ამ მხრივ მეცნიერებისათვის უცნობი ბერდუჯის ხეობა მაინც გავხადოთ ცნობილი.

ა. ნემსიწვერიძე

ფრიალებს სპარტაკიადის ალამი

(დასასრული)

უკანასკნელ წამებში ფარს აცდა ბურთი

როცა კალათბურთის მოედანზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ვაჟთა გუნდები გამოვიდნენ, ბევრს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მასპინძლები დამარცხდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან ორთაბრძოლაში, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ა. კილაძე, ვ. გვანცელაძე, ლ. ინწკირველი, გ. აბაშიძე და ა. ლეჟავა. ეს უკანასკნელი გამოვიდა სპეციალური დავალებით — „ჩაკეტა“ მაღალი ტანის ბაქოელი — პეტროვი, რომლის სიმაღლე 2 მეტრს აღემატება.

თამაში საქართველოს კალათბურთელებმა წაიყვანეს — 5:2. მასპინძლებმა მარცხს კონტრშეტევებით უპასუხეს და მალე ანგარიშმაც მათ სასარგებლოდ იწყო ცვლა: მე-8 წუთზე ისინი წინ არიან — 12:8, შემდეგ — 17:10. ლეჟავა აშკარად მარცხდება პეტროვთან ორთაბრძოლაში და მას ქორქია ცვლის. ამის მიუხედავად თბილისელთა თამაშში კვლავ დაბნეულობა იგრძნობა, ისინი ხშირად კარგავენ გადაცემებს, ხელსაყრელი მდგომარეობიდან არაზუსტად ტყორცნიან კალათში. მასპინძლები ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებენ ინიციატივას და იგებენ მას 12 ქულის განსხვავებით — 32:20.

მეორე ნახევარში „გათამაშდა“ კილაძე. მისი ტყორცნები ხშირად აღწევს მიზანს და მე-18 წუთისათვის ჩვენი კალათბურთელები ათანაბრებენ ანგარიშს — 56:56. იქვე მასპინძლები საჯარიმო ტყორცნის უფლებას იღებენ და ქულით გადიან წინ — 57:56. ბურთი სწრაფად გადადის აზერბაიჯანელთა ნახევარზე, მაგრამ კვლავ ცდება კალათს. თბილისელები ისევ ჯარიმდებიან. თამაშის დამთავრებას ცოტა აკლია. მასპინძლები ვერ იყენებენ საჯარიმო ტყორცნას და ბურთი ისევ თბილისელთა ხელშია. საფინალო სასტვენს აკლია წამები!.. ფარქვეშ თავისუფლად გადის ინწკირველი, იღებს კიდეც გადაცემას და... ბურთი კვლავ აცდა მიზანს. აზერბაიჯანელები ბურთს ეუფლებიან და აქვე გაისმის მსაჯის საფინალო სასტვენიც. დამარცხება — 56:57!..



ერთი ბურთის განსხვავებით

კიდევ უფრო დაძაბულად მიმდინარეობდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წყალბურთელთა შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდის შემადგენლობაში ავადმყოფობის გამო არ თამაშობდნენ ჩაჩავა და ავანესიანი.

მატჩი სტუმრების უპირატესობით დაიწყო, რომლებიც უკვე მე-2 წუთზე წარმატებას აღწევენ — ჩხიკვაძე ხსნის ანგარიშს — 1:0. მალე უხეშობისათვის მოედანს სტოვებს ერთ-ერთი თბილისელი სპორტსმენი, რასაც აზერბაიჯანელები კარგად იყენებენ და გააქვთ საპასუხო ბურთი — 1:1. არ გასულა ორი წუთი, რომ ჩხიკვაძეს ისევ წინ გაჰყავს თავისი გუნდი — 2:1. მცირე ხნის შემდეგ ანგარიში კვლავ საქართველოს წყალბურთელთა სასარგებლოდ იცვლება: ბართაევს მესამე ბურთი გააქვს — 3:1. პირველი ნახევრის დამთავრებას წუთნახევარი აკლია. აზერბაიჯანელი სპორტსმენები მოწინააღმდეგის კარს განუწყვეტლივ უტევენ და ტაიმის დასასრულამდე ათანაბრებენ ანგარიშს — 3:3.



თამაშის მეორე ნახევარი ისევ საქართველოს გუნდის შეტევით იწყება და გვახარიას გააქვს მეოთხე ბურთი — 4:3. შეუპოვარი, დაძაბული ბრძოლა გრძელდება. მას შემდეგ, რაც ორივე გუნდმა წარმატებით გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო, ანგარიში კვლავ ქართველ სპორტსმენებს მიჰყავთ — 5:4. თამაშის დამთავრებას აკლდა 2 წუთი და აი აქ კვლავ მეორდება პირველი ნახევრის სურათი: მასპინძლებს ზედიზედ გააქვთ ორი ბურთი და იგებენ ძნელ შეხვედრას ანგარიშით 6:5.

გამარჯვებული არ გამოვლინდა

გრძელდება ფეხბურთელთა შეხვედრები. აზერბაიჯანის გუნდმა მორიგი დამარცხება განიცადა მოლდაველებთან შეხვედრაში — 0:2. მას შემდეგ, რაც სომხეთის ფეხბურთელებმა პირველ დღეს სძლიეს მოლდავეთის გუნდს (2:1), დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ შეხვედრას საქართველოს გუნდთან, რომელსაც თავის მხრივ, როგორც ცნობილია, აქტივში გამარჯვება ჰქონდა ჩაწერილი აზერბაიჯანის გუნდთან. შეხვედრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული და გუნდებმა მოედანი დატოვეს ანგარიშით—1:1.

ფეხბურთი

ფეხბურთში სპარტაკიადის ჩემპიონობის ბედს გადაწყვეტს საქართველო-მოლდავეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანის ფეხბურთელთა შეხვედრები.

ი. უგულავა,
ნ. გუგუშვილი.
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

სურათზე: აზერბაიჯანისა და საქართველოს წყალბურთელთა გუნდების თამაშის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ბორჯომელი სპორტსმენები ყაზბეგზე

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის ბორჯომის რაიონულმა კომიტეტმა კომკავშირის რაიკომთან ერთად მოაწყო ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ლაშქრობა მწვერვალ ყაზბეგზე. ალპინისტურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა დ. ყანდარელი.

30 სექტემბერს ბორჯომიდან დაიძრა ჯგუფი 13 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ ავტოსატრანსპორტო კანტორის, მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის, ლიკანის სანატორიუმის, სასწავლებლებისა და სხვათა ახალგაზრდები. ჯგუფმა წარმატებით მოახდინა პირველი ასვლა ყაზბეგზე. ყაზბეგიდან დაბრუნებულ მთამსვლელებს რაიონის ახალგაზრდებმა შეხვედრა მოუწყვეს შ. რუსთაველის სახელობის კულტურის სახლში, სადაც ამ დღისათვის მოწვეული იყვნენ აგრეთვე, პამირის ექსპედიციის მონაწილენი: გიგინეიშვილი, ივანიშვილი, კუხიანიძე, აბაშიძე, მირიანაშვილი, ჭეჭინაძე და ხაზარაძე.

ალპინიზმის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს მიესალმნენ კომკავშირის ბორჯომის რაიკომის მდივანი მ. გელაშვილი და ს. გუგუბერიძე. სიტყვებით გამოვიდნენ ყაზბეგზე მოლაშქრე ბორჯომელ ალპინისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი დ. ყანდარელი, პამირის ექსპედიციის უფროსი ო. გიგინეიშვილი, ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი ა. ივანიშვილი.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ამილახვარმა პირველი საფეხურის ალპინისტის სამკერდე ნიშნები გადასცა იმ მთამსვლელებს, რომლებმაც დალაშქრეს ყაზბეგი.

დასასრულს კულტსახლის თვითმოქმედი კოლექტივის ძალებით გაიმართა მხატვრული განყოფილება.

მ. გელაშვილი

გაზეთ „მორიაკის“ თასზე

ამას წინათ ოდესაში ჩატარდა შავი ზღვის აუზის მეზღვაურების, ნავსადგურის მუშებისა და გემშემკეთებელთა ტრადიციული შეჯიბრება ნიჩბოსნობასა და საიალქნო სპორტში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ოდესის, ფოთის, სოხუმის ნავსადგურების და სხვათა სპორტსმენები.

როგორც გასულ წელს, ამ შეჯიბრებაზეც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ფოთელმა სპორტსმენებმა. ერთმისასმელიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში 1000 და 10.000 მეტრზე გამარჯვებული გამოვიდა ფოთის ნავსადგურის ზეინკალი ვ. ბაიდაკი. მისმა თანაგუნდელებმა მექვაბემ შ. ჰედიამ და ზეამწემ ი. ლაცკომ პირველი ადგილი მოიპოვეს ორმისასმელიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში.

რეგატის კომპლექსში საერთო-გუნდური პირველობა შეინარჩუნეს ფოთელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც გაზეთ „მორიაკის“ ხუთი გარდამავალი თასიდან მოიპოვეს ორი ბაიდარებითა და კანოეთა შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ერთი თასი მოიპოვეს სოხუმის ნავსადგურის სპორტსმენებმა.

ო. ივდოშვილი

მსოფლიოს პირველობაზე

რიო-დე-ჟანეირო. აქ დაიწყო მსოფლიო პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა შორის.

მოგვყავს პირველი კალენდარული დღის შედეგები: სსრკ-ავსტრალია — 70:32, ჩეხოსლოვაკია-არგენტინა — 76:42, აშშ-პერუ — 75:37, მექსიკა-კუბა — 49:39.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ოსკ რიგა	22	18	4	18
ცსკ მო	22	17	5	17
„დინამო“ მოსკოვი	22	17	5	17
„ჟალგირისი“ კაუნ.	22	14	8	14
„დინამო“ თბილისი	22	14	8	14
„ბურევესტ“. ლენ.	22	12	10	12
„ბურ“. ალმა-ატა	22	9	13	9
სვერდლოვსკი	22	9	13	9
„სპარტაკი “ მოსკოვი	22	8	14	8
„სპარტაკი“ რიგა	22	7	15	7
„ბურევესტ“. კიევი	22	4	15	4
„კალევი“ ტარტუ	22	3	19	3



გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	20	15	3	2	47:14	33
ცსკ მო	22	13	1	8	51:31	27
„ლოკომოტივი“	19	11	3	5	36:24	25
„სპარტაკი“ მ.	18	9	4	5	35:25	22
„ტორპედო“	16	8	5	3	37:19	21
„დინამო“ კ.	18	7	6	5	26:25	20
„დინამო“ თბ.	18	8	3	7	27:29	19
„ბურევესტ.“	21	3	10	8	21:36	16
„შახტიორი“	19	5	5	9	16:31	15
„ზენიტი“	20	3	7	10	21:39	13
„კრ. სოვეტ“.	18	1	8	9	5:26	10
„სპარტაკი“ მნ.	21	1	7	13	11:36	9

• • •

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები ცსკ მო და „ლოკომოტივი“. მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა“ — 4:1.

დედაქალაქის პირველობები

ცუდად ინფორმირებული შეჯიბრება

დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. მონაწილეობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, განათლების განყოფილების, პოლიტექნიკური ინსტიტუტის და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები.

მეორე თანრიგში პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ლ. ლაპენკოს, ლ. დიდენკოსა (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ნ. ზანდუკელს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შორის გაიმართა. ლ. დიდენკომ და ნ. ზანდუკელმა ქულათა თანაბარი რაოდენობა (34,65) დააგროვეს და მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს. ლ. ლაპენკომ მეტოქეებს 0,45 ქულით გაუსწრო და პირველი ადგილი გაინაღდა.

სურათზე: შეჯიბრების მონაწილე ნ. სალაძე ვარჯიშის დროს.

პირველთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. ნოვიჩენკო, რომელმაც 43,3 ქულით გამარჯვება მოიპოვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ოსტატთა თანრიგში. ახალგაზრდულმა ენერგიამ და მონდომებამ თავისი გაიტანა. ე. ადაშკოვამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ნ. სალაძემ (სახელმწიფო უნივერსიტეტი) საკმაოდ „შეავიწროვეს“ გამოცდილი მეტოქეები და მათ ლიდერთა პოზიციები დაატოვებინეს. მხოლოდ პენკოვამ შეძლო 54,15 ქულით თბილისის ჩემპიონი გამხდარიყო. 53,4 ქულით II ადგილზე გამოვიდა ე. ადაშკოვა. მესამე საპრიზო ადგილი უნივერსიტეტელ ნ. სალაძეს ერგო. რესპუბლიკის უძლიერესი ტანმოვარჯიშე დ. შელია IV ადგილით დაკმაყოფილდა.

გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტმა. მეორე ადგილი წილად ხვდა განათლების განყოფილების გუნდს, მესამე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს.

შეჯიბრებას თავი აარიდეს ტრანსპორტის ინჟინერთა, უცხო ენათა, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებმა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ამ უმაღლეს სასწავლებლებში არავითარი ყურადღება არ ექცევა მხატვრულ ტანვარჯიშს.

რატომღაც შეჯიბრების მსვლელობა არ იყო რადიოფიცირებული.

ა. ბარნოვი

მიზანი მიუღწეველი დარჩა

ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარდა საქალაქო პირველობა აკრობატიკაში. ოსტატთა პროგრამით ვაჟთა შორის მხოლოდ ორი სპორტსმენი — ა. ცირეკიძე და დ. ლიტვინოვი გამოდიოდა. გამარჯვება წილად ხვდა ლიტვინოვს.

პირველთანრიგოსან მხტომელ ვაჟთა შორის სავალდებულო ვარჯიშების შესრულების შემდეგ დაწინაურდა პიშჩევიკელი ი. ლარიონოვი, მაგრამ ნებისმიერ ვარჯიშებში მას გაუსწრო გ. სარქისოვმა და მოიპოვა უძლიერესის სახელი. მეორეთანრიგოსანთა შორის გაიმარჯვა დ. მელიქიანმა.

ქალებში ოსტატთა პროგრამით გამოსვლა ვერავინ „გაბედა“. პირველ თანრიგში გამოდიოდნენ მხოლოდ ოთხნი. მათგან ორმა მონაწილემ მიიყვანა საქმე ბოლომდე. გამარჯვებულმა ნ. დონდუამ და მეორე ადგილზე გამოსულმა ს. სუქიასიანმა შეძლეს პირველი თანრიგის ნორმატივის შესრულება. მეორე თანრიგში ყოველგვარი კონკურენციის გარეშე ჩემპიონი გახდა ლ. მახვილაძე. მესამე თანრიგში მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გამარჯვებულ მ. ქიმერიძის შედეგია 51,6 ქულა.

პირველთანრიგოსანთა შერეულ წყვილში შეჯიბრება არ ჩატარებულა.

საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა წყვილების შეჯიბრება. პირველ თანრიგში გამარჯვებულები გამოვიდნენ რ. სამონიანი და ე. კოლოიანი. მეორე თანრიგში აგაჯანოვ-ამირიანის წყვილს კონკურენციის გარეშე დარჩა გამარჯვება. სამეულთა შეჯიბრებაში ქალაქის ჩემპიონი გახდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი გ. მარგიშვილის, ი. პაპუნიდისა და გ. ხუდოევის შემადგენლობით, რომლებმაც მაღალ დონეზე შეასრულეს ვარჯიშები.

ა. ბარნაბიშვილი

თამაში თამაშად რჩება

ცნობილი ინგლისელი პროგრესული მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი ფართო პოპულარობით სარგებლობს როგორც თავის სამშობლოში, ისე მის გარეთაც. მშვიდობისა და დემოკრატიზმის იდეებით გამსჭვალული მისი თხზულებები განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მკითხველთა შორის.

ჯეიმს ოლდრიჯის ერთ-ერთი საყვარელი თემა სპორტია. ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ სპორტული თემისადმი მიძღვნილ წერილს „თამაში თამაშად რჩება“.

ჩვეულებრივზე ადრე შემიძლია ვთქვა, მოიგებენ ინგლისელი სპორტსმენები ამა თუ იმ საერთაშორისო შეხვედრას თუ არა. საკმარისია ჩვენმა მეტად გათვითცნობიერებულმა დიდი გაზეთების სპორტულმა მიმომხილველებმა მოწინააღმდეგეებს „ჯენტლმენები“ ან „ჭეშმარიტი სპორტსმენები“ შეარქვან, რომ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ ამ უკანასკნელთა დამარცხებაში.

კერძოდ, ეს დამახასიათებელია ჩვენი ეროვნული თამაშის — კრიკეტისათვის. მთავარი მეტოქეები, რომლებიც „ეშეს“ (ფერფლი) პრიზის გათამაშებაში იღებენ მონაწილეობას, არიან ინგლისი, ავსტრალია. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით ეს ფერფლი ხის იმ დამწვარი ჩაქუჩების ნარჩენებია, რომლებითაც თამაშობდნენ პირველ მატჩს 70 წლის წინათ ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები.

„ეშეს“ პრიზის მოსაპოვებლად შეჯიბრებები ტარდება რიგრიგობით დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში. ამ შეხვედრათა მიმდინარეობის დროს ორივე ქვეყნის მკვიდრნი ხანდახან შეწყვეტენ მუშაობას იმისათვის, რომ შეიტყონ უკანასკნელი თამაშის ანგარიში. ეს თამაშები ზოგჯერ 5 დღეს გრძელდება. თვითეული მატჩი ჩვეულებრივ 5 თამაშისაგან შედგება.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბავშვი ვიყავი, ავსტრალიელები ავლენდნენ თამაშის საკმაოდ უხეშ და არაჯენტლმენურ ხერხებს და ამის შედეგად თითქმის ყოველთვის გამარჯვებულნი რჩებოდნენ. შემდეგ, სწორედ ომის წინ, თვითონ ინგლისელებმა დაიწყეს უფრო უხეშად მოქმედება და იყენებდნენ არაჯენტლმენურ თამაშს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ბურთებს ურტყამდნენ მთელი მოქნევით. ამან საბაბი მისცა ავსტრალიელებს ბრალი დაედოთ ინგლისელებისათვის არასპორტულ საქციელში. იმ წელს ინგლისელებმა გაიმარჯვეს.

ახლა იწყება კრიკეტის ახალი სეზონი, ავსტრალიასთან შეხვედრის გარდა ინგლისელი სპორტსმენები შეეჯიბრებიან სამხრეთ აფრიკის, პაკისტანის, ვესტ-ინდოეთისა და ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ზოგიერთი სხვა ქვეყნის მოთამაშეებს.

ამჟამად ჩვენ ველით ვესტ-ინდოეთის გუნდის ჩამოსვლას, და მიუხედავად იმისა, რომ პრესამ მის შესახებ აზრი გამოთქვა, მე ჯერ არსად შევხვედრივარ ამ სპორტსმენების „ჯენტლმენობის“ შესახებ ლაპარაკს. ამიტომ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვესტ-ინდოეთი ნამდვილად არის სერიოზული მოწინააღმდეგე, თუმცა-ღა ამის შესახებ მტკიცედ შეიძლება მხოლოდ მოგვიანებით ითქვას.

ამით მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ ინგლისელები ბავშვობიდანვე დაგვაჩვიეს სიფრთხილეს როცა საქმე ეხება სპორტულ პროგნოზებს. ჩვენ აღგვზარდეს იმ აზრით, რომ მთავარი თამაშია, ხოლო მოგება თავისთავად არც თუ ისე მნიშვნელოვანი. წლითიწლობით იყენებდნენ ამ სასარგებლო ფილოსოფიას იმისათვის, რომ გაემართლებინათ ჩვენი დამარცხებანი მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კრიკეტში და, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ მორალის გარკვეული ნაწილი ჩვენი სპორტიდან გაქრება, რადგან იგი აღარ არის მოთამაშეთა სულიერი საზრდო და ინგლისურ სპორტს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც არსებობს ღრმა უფსკრული სპორტის მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის, მოთამაშეთა და გულშემატკივართა შორის.

კრიკეტი ფულთან ნაკლებადაა დაკავშირებული; ფინანსური მხარე ძალზე ნაკლებად ეხება ისეთ სახეობებს, როგორიცაა მძლეოსნობა, წყალში ხტომა ან წყალბურთი. მაგრამ საკმარისია ფეხბურთს გავეცნოთ, რომ ფინანსური მაქინაციების როლი უზომოდ გაიზრდება. სწორედ აქ ეკარგება მნიშვნელობა სპორტის ისეთ ფილოსოფიას, როგორიცაა სპორტი სპორტისათვის.

თვითეულმა იცის, რომ ფეხბურთი პროფესიონალური თამაშია. ეს ნიშნავს, რომ საუკეთესო ინგლისური ფეხბურთი არის პროფესიონალური და რომ მასში გამოდიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ფეხბურთს ემსახურებიან. არსებობს საკმაოდ განსაზღვრული ტარიფები ფეხბურთელებზე, რომლებიც ინგლისის ფეხბურთის ლიგის გუნდებში გამოდიან, აგრეთვე პრემიების მტკიცე ფასები ბურთის გატანისათვის, თასები და ა. შ.

მოთამაშის საშუალო ხელფასი, ალბათ, ცოტათი უფრო მეტია გამოცდილი ინჟინრის ხელფასზე და როცა ხელმძღვანელებს გადაჰყავთ ფეხბურთელი ერთი გუნდიდან მეორეში, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ჰყიდიან მას, მოთამაშე იღებს დამატებით ფულს, დაახლოებით ერთი კვირის ხელფასის ოდენობით, როგორც ჯილდოს ახალი გუნდისაგან.

კარგი იქნებოდა თუ კი საქმე განისაზღვრებოდა ფეხბურთელის მხოლოდ ხელფასით. მაგრამ სინამდვილეში ცნობილი ინგლისური ფეხბურთის კლუბები ამავე დროს წარმოადგენენ დიდ ფინანსურ კონცერნებს, რომლებიც ფლობენ კაპიტალის ათეულ, შეიძლება, ასეულ ათას ფუნტ სტერლინგს. შემოსავალი პროპორციულად ნაწილდება მოთამაშე გუნდებს შორის, მაგრამ ამ ფულებთან გაცილებით ახლოს დგანან კლუბები, ვიდრე უშუალოდ მოთამაშენი. ინგლისურ ფეხბურთს რთული წყობა აქვს. შესაძლოა, არავინ იყოს იმის წინააღმდეგი, რომ კლუბებმა მიიღონ შემოსავლის ნაწილი იმ კაპიტალიდან, რომელიც მოხმარდა მოთამაშეებს. მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ მოთამაშენი სრულებითაც არ იღებენ ამ შემოსავლის სამართლიან ნაწილს. წინააღმდეგობა აქ იმაშია, რომ ყველა კლუბი ფორმალურად იცავს მოთამაშეებისადმი ანაზღაურების წესებს, სინამდვილეში არღვევენ მათ.

ამბობენ, რომ კარგი მეკარე, მაგალითად, თუ შაბათს აიღებს ექვს „მკვდარ“ ბურთს, ორშაბათს შეიძლება ახალი მსუბუქი ავტომანქანის მფლობელი აღმოჩნდეს, ხოლო ბედნიერმა ცენტრთავდამსხმელმა შეიტყოს, რომ მისმა სიდედრმა მიიღო ახალი სახლი. ბუნებრივია, რომ ასეთი საჩუქრების აღრიცხვა ძნელია.

მაგრამ ინგლისური ფეხბურთის მესვეურებმა ამ ცოტა ხნის წინათ გადაწყვიტეს ამ მხრივაც ზოგიერთი ხრიკისათვის მიემართათ. მსხვერპლად მათ აირჩიეს „სანდერლენდის“ გუნდი.

„სანდერლენდის“ გუნდის დირექტორები დაჯარიმებულ იქნენ 5 ათასი გირვანქა სტერლინგით იმისათვის, რომ მათ სპორტსმენებს მისცეს დიდი თანხა და პრემიები, რაც წესით გათვალისწინებული არ იყო. „სანდერლენდის“ კლუბის მეთაურს მთელი სიცოცხლის მანძილზე ეკრძალა ფეხბურთის საქმეებში ჩარევა იმისათვის, რომ იგი, როგორც ყველასათვის ნათელია, იქცეოდა ისევე, როგორც მისი კოლეგები სხვა კლუბებიდან.

ამან გამოიწვია ჩვენს ფეხბურთელთა საზოგადოებრიობაში ნამდვილი ქარიშხალი და საზრდო მისცა ახალ უკმაყოფილებას, მლიქვნელობასა და შეზღუდულობას.

არსებული პრაქტიკის ყველაზე ცუდი მხარე ის არის, რომ კარგი ფეხბურთელი ბევრ ფულს იმსახურებს არა თავისთვის, არამედ იმ გუნდისათვის, რომელიც მას ფლობს. ცნობილ გუნდს შეუძლია შესთავაზოს კლუბს მთელი ქონება ფეხბურთელისათვის, გადაიხადოს დიდი თანხა და მიიღოს ფეხბურთელი, მაგრამ თვით სპორტსმენი ერთ გროშსაც კი არ იღებს იმ თანხიდან, რაც მის გასაყიდად ან შესაძენად იყო გაღებული. და თუ მას არ სურს თავისი ოჯახი გადაიყვანოს იმ ქალაქიდან, სადაც ის ცხოვრობს, ქალაქში, სადაც მას გზავნიან, მან სამუდამოდ უნდა მიატოვოს ფეხბურთი.

მოთამაშეს უფლება აქვს გაყიდოს თავისი ოსტატობა და სული და მიიღოს ამისათვის მთელი ფული.

ეს ადრე თუ გვიან შემოვა ინგლისურ ფეხბურთშიაც, რადგან სანამ ეს თამაში დაკავშირებულია ბიზნესთან და პროფესიონალიზმთან, მოთამაშეებს უფლება აქვთ მოითხოვონ კანონიერი ანაზღაურება თავიანთი ხელოვნებისათვის და მიიღონ ყველაფერი საუკეთესო თავისი პროფესიიდან.

იქონიეთ მხედველობაში, რომ ეს სრულყოფილი ასახვა როდია იმ არსებული სიტუაციისა, რაც სინამდვილეში უფრო რთულია და ყოველთვის მაინცდამაინც არც ისე ცუდი.

მოთამაშეების ექსპლოატაცია ყველა გუნდისათვის არ არის დამახასიათებელი ისევე, როგორც ყველა სპორტული ლიდერი არ არის მოგებისადმი მისწრაფებით აღვსილი. კლუბების ზოგიერთ დირექტორსა და ხელმძღვანელს სძაგს ეს სისტემა, ისევე როგორც თვით სპორტსმენებს, და ჭეშმარიტად საუკეთესო ინგლისური გუნდებისათვის დამახასიათებელია დარაზმულობის გრძნობა, რომელიც შეუძლებელია ფულით იქნეს შეძენილი. კერძოდ, ეს ეხება ისეთ გუნდს, როგორიცაა „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც მისდევს რა არსებულ წესებს, შეუძლია შეინარჩუნოს წესიერების სული.

მიზეზები უნდა ვეძიოთ უფრო სისტემაში, ვიდრე ადამიანებში. ამ სისტემის სულისჩამდგმელნი არიან ყველაზე ცუდი მოღვაწეები ბრიტანეთის ფეხბურთის ასოციაციიდან, მათ არაფრის გაგონებაც კი არ უნდათ იმის შესახებ, რომ მოთამაშეებს რაიმე უფლებები მიეცეს.

მაგრამ ასეთი მოღვაწეების დღეები ერთგვარად დათვლილია. და, როცა ისინი ბოლოს გაკოტრდებიან, ინგლისური ფეხბურთი, რომელიც ახლა კვლავ აღმავლობას განიცდის, განაგრძობს თავის არსებობას ძველი სპორტული ტრადიციებით აღფრთოვანებული.

* * *

მე ხელახლა მინდა დავუბრუნდე კრიკეტს, რომლის შესახებ ვამბობდი დასაწყისში. მას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ისეთ არაჯენტლმენურ საგნებთან, როგორიც ფულია. ჯერ ერთი, კომერციის თვალსაზრისით ეს თამაში როდია ისეთი პოპულარული, როგორც ფეხბურთი.

ფეხბურთში შეხვედრები ეწყობა ყოველ შაბათს და მას ესწრება მრავალრიცხოვანი მაყურებელი. საგრაფოებს შორის მოწყობილი მატჩები კრიკეტში იზიდავს ცოტა ხალხს.

კრიკეტის მოყვარულებს უწოდებენ „ჯენტლმენებს, ხოლო იმათ კი, რომელთაც ფულს უხდიან — მოთამაშეებს“. ინგლისური გუნდის უმრავლესობა შედგება მოყვარულებისა და პროფესიონალებისაგან და განსხვავება მდგომარეობს უფრო თამაშის კლასში, ვიდრე ანაზღაურებაში.

ტრადიციის მიხედვით კრიკეტის გუნდის კაპიტანი უნდა იყოს ჯენტლმენი (მოყვარული), მაგრამ ამჟამად ყველაზე საუკეთესო კაპიტანი ინგლისური კრიკეტისა არის პროფესიონალი, რომელიც გადაყვანილ იქნა „ჯენტლმენებში“ მისი რაინდული ორდენით დაჯილდოების გზით — ეს სერ ლეონარდ ჰატონია. აი ასე ხდება კრიკეტში, თუ თქვენ გამოდგებით, თქვენ მაგიური კვერთხით „გადაგიყვანენ“ „მოთამაშეებიდან“ „ჯენტლმენად“. მაგრამ კრიკეტში ეს ათას წელიწადში ხდება ერთხელ; ფეხბურთში კი, რომელიც ასე პოპულარულია, ასეთ რამეებს ადგილი არა აქვს. ამ ცოტა ხნის წინათ ხმა დაყარეს, თითქოს ასეთ პატივში უარი უთხრეს უდიდეს სტენლი მეტიუზს, რადგან იგი ჯერ კიდევ ირიცხება პროფესიონალური გუნდის შემადგენლობაში, მეორეს მხრივ, საჩოთირო იქნებოდა თუ კი ფეხბურთის გულშემატკივრები უეცრად იყვირებდნენ: „მიდი, სერ სტენლი“.

სტენლის რიგი შესაძლოა კიდევ მოვიდეს, როცა იგი თავს მიანებებს პროფესიონალურ ფეხბურთს. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყო ჯენტლმენი და მოთამაშე, ფეხბურთში მაინც.

პროფესიონალები თავის დროზე, შესაძლოა, კრიკეტში იმიტომ მიიღეს, რომ ჯენტლმენებს შორის არ იყვნენ საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები, რომლებსაც უნარი ექნებოდათ პირნათლად დაეცვათ ინგლისური კრიკეტის პრესტიჟი.

ახლა კი აღმოჩნდა, რომ ჯენტლმენებს თავისი თამაშის სტილით უნარი აღარ შესწევთ დააინტერესონ გულშემატკივართა ფართო მასები და ახლა შეჯიბრებებში მონაწილეობენ სპორტსმენები, რომლებიც ნახევრად პროფესიონალები ან ნახევრად მოყვარულები არიან, მაგრამ სპორტული ოსტატობის ერთნაირ დონეზე არიან.

* * *

ასევეა საქმე ავსტრიაში, სადაც არაფერს ნიშნავს თევზი ხართ თქვენ თუ ფრინველი, მხოლოდ კრიკეტის კარგი მოთამაშე კი იყავით.

და მაინც თამაშია. ამ პატარა და ერთობ ძვირფას მტკიცებაში ისე ბევრი პირმოთნეობაა, რომ იგი მაშინ უპასუხებს სინამდვილეს, როცა სპორტი ანგარებისა და ფულის მოგების წყარო აღარ იქნება.

ინგლისური სპორტი ახლა გარდაქმნათა შესავალთანაა არა მარტო კრიკეტში და ფეხბურთში, არამედ სხვა სახეობებში, მძლეოსნობის ჩათვლით, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს.

ამას გრძნობენ თვით სპორტსმენები. იმიტომ, რომ მათ მობეზრდათ იმის მოსმენა, არიან თუ არა ისინი ჯენტლმენები. ამიტომ ისინი მთელ თავის ყურადღებას უთმობენ საქმის სპორტულ მხარეს, იბრძვიან აგრეთვე საუკეთესო პირობებისათვის, რომ სპორტს მისდევდე და აღწევდე მაღალ შედეგებს.

ჯეიმს ოლდრიჯი

„ფიზკულტურა ი სპორტ“ № 7.

სისხლისფერი თოვლი სლალომის ტრასაზე

ზამთრის უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე დამარცხების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მოთხილამურეები და სპორტის ამ სახეობის მესვეურები ხანგრძლივად ეძებდნენ გამოსავალს ხელოვნური თოვლის დიდი რაოდენობის შესაქმნელად, რადგან უთოვლო ზამთარი, რომელიც აქ ხშირი მოვლენაა, საკმაოდ ართულებს ამერიკელ სპორტსმენთა რეგულარულ წვრთნას.

დაძაბული ძიების შემდეგ აშშ-ში მართლაც შეძლეს ხელოვნური თოვლის მიღება, რომელიც არაფრით განსხვავდება ბუნებრივისაგან. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ რაიონებში, ძირითადად კალიფორნიაში სამთო-სათხილამურო სპორტში რეგულარული ვარჯიშისათვის სლალომისა და სწრაფდაშვების დისტანციებს ფარავენ ხელოვნური თოვლით.

ამისათვის აქ იყენებენ წყლის ჩვეულებრივ სახანძრო ტუმბო-მფრქვევანებს. სავარჯიშო ადგილებში ხელოვნური თოვლის მოსაყვანად დისტანციაზე ჭიმავენ რეზინის ორ მილს, რომელზეც გარკვეული მანძილით ერთმანეთისაგან დაშორებული წყლის მფრქვევანებია მიმაგრებული. ერთ მილში უშვებენ შეკუმშულ ჰაერს, მეორეში — წყალს, რომლის დაწოლა 40 ატმოსფერომდე აღწევს.

ყოველ მფრქვევანას აქვს სპეციალური კამერა, სადაც ხდება წყლისა და ჰაერის შერევა, რის შემდეგ ნარევი სახანძრო ტუმბოს საშუალებით გამოიფრქვევა ნისლისა და წყლის მტვრის სახით. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში ბუნებისაგანაა საჭირო, ისაა, რომ ჰაერის ტემპერატურა 0 გრადუსზე დაბლა იყოს. ამ შემთხვევაში ტუმბოდან გამოსროლილი წყლის მტვერი თოვლად იქცევა. შესაძლებელია თოვლი მიიღონ, როგორც წვრილფიფქიანი, ისე მსხვილფიფქიანი, რაც დამოკიდებულია წყლისა და ჰაერის პროპორციაზე. ჩვეულებრივი თოვლის მისაღებად ერთი კუბომეტრი შეკუმშული ჰაერი ხარჯავს 50 ლიტრ წყალს.

ამგვარი სისტემის წარმოებლობა საკმაოდ მაღალია, მაგალითად, კალიფორნიის ერთ-ერთ სამთო-სათხილამურო ბაზაში ექვსი კაცისაგან შედგენილმა მუშათა ბრიგადამ ერთი ღამის განმავლობაში 30 სმ სისქის თოვლით დაფარა ფეხბურთის ოთხი მოედნის ოდენა ფართობი.

ხელოვნური თოვლის საფარი თვისებებით არ ჩამოუვარდება ბუნებრივს, მაგრამ მას აქვს ერთი თავისებურებაც. ადამიანები საერთოდ მიჩვეული არიან, რომ თოვლს ჰქონდეს თეთრი ფერი, მაგრამ ამერიკელ მოთხილამურეთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მორიგ ვარჯიშზე მისულებს ტრასაზე დახვდათ ლაპლაპა სისხლის ფერი თოვლი, მათ ეს მოვლენა ღვთიურ მოვლენად მიიღეს და უარი თქვეს ვარჯიშის გაგრძელებაზე, ვიდრე ისინი არ დაარწმუნეს, რომ „ღმერთი ამ საქმეში უმანკო იყო“. ხელოვნურ თოვლს რომ სასურველი ფერი მივცეთ, საკმარისია წყლისა და ჰაერის ნარევს კამერაშივე დავუმატოთ სასურველი ფერის საღებავი.

ქალი—მსაჯი ფეხბურთში

მისი სახელია რუტ, გვარი ცანი. იგი საკმაოდ სიმპათიური, შავგვრემანი ქალია. პროფესიით მასწავლებელი. უმთავრესად ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრებს ანდობდნენ. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ცანს პირველი ჯგუფის გუნდების მსაჯობა მოუხდა. ბერლინის ცნობილი გუნდების „ბსვ-92“ და „უნიონ-06“ შეხვედრის დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც პრინციპულმა და საქმის მცოდნემ. არსებობს აზრი, რომ ქალები ლმობიერები არიან, მაგრამ თამაშის 35-ე წუთზე მან კატეგორიული ჟესტით გააძევა მინდვრიდან „უნიონის“ საუკეთესო მოთამაშე. გაძევებული უხმოდ დაემორჩილა მსაჯის განკარგულებას, ალბათ იმიტომ, რომ მსაჯი ქალი იყო და ისიც საკმაოდ ლამაზი გარეგნობისა. თამაშის შემდეგ დამნაშავემ დიდი მოწიწებით პატიება თხოვა მსაჯს.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-ნგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

03537